



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №118

2015 წლის 30 ივლისი
ქ.ქობულეთი

შ.პ.ს. „ქარაფი“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №-57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს „ქარაფ“-ს თანდართული სქემების შესაბამისად აწარმოოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ციხისძირში დაბალი წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოები.

2. შ.პ.ს. „ქარაფმა“ უზრუნველყოს დაბალი წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ს.ოქროპირიძე

